გადაწყვეტილება

N გ-20-11/905
10/12/2020

905-გ-20-1-4-202012102008

შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ის და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენაზე, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 65%-ის შეძენაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია”) აღნიშნავს, რომ კომისიას 2020 წლის 2 დეკემბერს ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს „სქაიტელმა“, შპს „MAXNET“-მა და შპს „თრიალეთი-ნეტმა“ (განცხადების კომისიაში რეგისტრაციის N შ-20-6/6067 02.12.2020), შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ის და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენაზე, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს „სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 15%-ის ფიზიკურ პირ ნინო თოთაძის და წილის 50%-ის ფიზიკურ პირ ლევან გაბუნიას მიერ შეძენაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში, ან რომლის წილის, აქციების, ან საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

შპს „სქაიტელი“, შპს „MAXNET“ და შპს „თრიალეთი-ნეტი“ წარმოადგენენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს.

შპს „სქაიტელს“ ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.4 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

შპს „MAXNET"-ს ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

შპს „თრიალეთი-ნეტს" ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად:

შპს „სქაიტელის“ წილის 100%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ბესიკ მოსაშვილი. შპს „სქაიტელის“ დირექტორია არჩილ ხოჯაშვილი.

შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ლევან გაბუნია. შპს „MAXNET“-ის დირექტორია თეიმურაზ სარდაროვი.

შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ი მფლობელი და დირექტორია ფიზიკური პირი ნინო თოთაძე.

ფიზიკურ პირ ნინო თოთაძის და ფიზიკურ პირ ლევან გაბუნიას მიერ „სქაიტელის“ წილის 65%-ის შეძენის შემთხვევაში, პარტნიორებს შორის შპს „სქაიტელის“ წილები შემდეგნაირად გადანაწილდება: ბესიკ მოსაშვილი - 35%, ლევან გაბუნია - 50%, ნინო თოთაძე - 15%.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის თანახმად, შპს „სქაიტელი“, შპს „სქაიტელის“ წილის 100%-ის მფლობელი ბესიკ მოსაშვილი, შპს „სქაიტელის“ დირექტორი არჩილ ხოჯაშვილი, შპს „MAXNET“, შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის მფლობელი ლევან გაბუნია, შპს „MAXNET“-ის დირექტორი თეიმურაზ სარდაროვი, შპს „თრიალეთი-ნეტი“, შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ი მფლობელი და დირექტორი ნინო თოთაძე სხვა ავტორიზებულ პირებთან აფილირებულნი არ არიან.

შპს „სქაიტელი“, შპს „MAXNET“ და შპს „თრიალეთი-ნეტი“ ახორციელებენ ინტერნეტ მომსახურებას WiFi ტექნოლოგიის გამოყენებით.

კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემების თანახმად:

ფიქსირებული საცალო ინტერნეტ აბონენტების რაოდენობამ 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, შესაბამის კომპანიებში შეადგინა:

შპს „სქაიტელი“ - 26 278 აბონენტი;

შპს „MAXNET“ – 8 626 აბონენტი;

შპს „თრიალეთი-ნეტი“ – 3.447 აბონენტი.

შემოსავლებმა ავტორიზებული საქმიანობიდან 2020 წლის 10 თვეში, შესაბამის კომპანიებში შეადგინა:

შპს „სქაიტელი“ - 5 905 784 ლარი;

შპს „MAXNET“ – 1 160 753 ლარი;

შპს „თრიალეთი-ნეტი“ – 675 257 ლარი.

მუნიციპალიტეტების ჭრილში ზემოაღნიშნული კომპანიების კუთვნილი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის მუნიციპალიტეტში არსებულ ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შემდეგია:

აბაშის რაიონი	
სქაიტელი	1.58%
ადიგენის რაიონი	
სქაიტელი	1.88%
ამბროლაურის რაიონი	
სქაიტელი	2.13%
ასპინძის რაიონი	
სქაიტელი	2.29%
ახალგორის რაიონი	
სქაიტელი	84.21%
ახალქალაქის რაიონი	
სქაიტელი	2.38%
ახალციხის რაიონი	
სქაიტელი	0.84%
ახმეტის რაიონი	
სქაიტელი	11.96%
ბათუმი	
სქაიტელი	0.22%
ბაღდათის რაიონი	
სქაიტელი	8.19%
ბოლნისის რაიონი	
სქაიტელი	4.37%
ბორჯომის რაიონი	
სქაიტელი	9.35%
გალის რაიონი	
სქაიტელი	70.00%
გარდაბნის რაიონი	
სქაიტელი	3.93%
გორის რაიონი	
სქაიტელი	11.39%
გურჯაანის რაიონი	
სქაიტელი	7.90%
დედოფლისწყაროს რაიონი	
სქაიტელი	19.08%
დმანისის რაიონი	

მესტიის რაიონი	
სქაიტელი	5.19%
მცხეთის რაიონი	
სქაიტელი	10.53%
ნინოწმინდის რაიონი	
სქაიტელი	1.14%
ოზურგეთის რაიონი	
სქაიტელი	0.79%
ონის რაიონი	
სქაიტელი	2.58%
რუსთავი	
სქაიტელი	0.16%
საგარეჯოს რაიონი	
სქაიტელი	9.88%
სამტრედიის რაიონი	
სქაიტელი	0.76%
საჩხერის რაიონი	
სქაიტელი	4.28%
სენაკის რაიონი	
სქაიტელი	1.36%
სიღნაღის რაიონი	
სქაიტელი	6.41%
სტეფანწმინდის რაიონი	
სქაიტელი	22.24%
ტყიბულის რაიონი	
სქაიტელი	1.28%
ფოთი	
სქაიტელი	0.20%
ქარელის რაიონი	
სქაიტელი	5.43%
ქედის რაიონი	
სქაიტელი	23.42%
ქობულეთის რაიონი	
სქაიტელი	6.70%
ქუთაისი	

სქაიტელი	10.97%
დუშეთის რაიონი	
სქაიტელი	22.66%
ვანის რაიონი	
სქაიტელი	10.91%
ზესტაფონის რაიონი	
სქაიტელი	0.43%
ზუგდიდის რაიონი	
სქაიტელი	12.89%
თბილისი	
სქაიტელი	0.38%
თეთრი წყაროს რაიონი	
სქაიტელი	12.97%
თელავის რაიონი	
სქაიტელი	6.10%
თერჯოლის რაიონი	
სქაიტელი	0.78%
თიანეთის რაიონი	
სქაიტელი	23.39%
კასპის რაიონი	
სქაიტელი	1.92%
ლაგოდეხის რაიონი	
სქაიტელი	4.74%
ლანჩხუთის რაიონი	
სქაიტელი	1.52%
ლენტეხის რაიონი	
სქაიტელი	5.30%
მარნეულის რაიონი	
სქაიტელი	3.95%
მარტვილის რაიონი	
სქაიტელი	2.00%

სქაიტელი	0.37%
ყვარლის რაიონი	
სქაიტელი	14.83%
შუახევის რაიონი	
სქაიტელი	12.23%
ჩოხატაურის რაიონი	
სქაიტელი	21.09%
ჩხოროწყუს რაიონი	
სქაიტელი	0.80%
ცაგერის რაიონი	
სქაიტელი	33.70%
წალენჯიხის რაიონი	
სქაიტელი	11.67%
წალკის რაიონი	
სქაიტელი	6.11%
წყალტუბოს რაიონი	
სქაიტელი	0.53%
ჭიათურის რაიონი	
სქაიტელი	1.77%
ხარაგაულის რაიონი	
სქაიტელი	6.08%
ხაშურის რაიონი	
სქაიტელი	0.95%
ხელვაჩაურის რაიონი	
სქაიტელი	8.97%
ხობის რაიონი	
სქაიტელი	5.49%
ხონის რაიონი	
სქაიტელი	3.75%
ხულოს რაიონი	
სქაიტელი	5.66%

აბაშის რაიონი	
MAXNET	0.05%
ამბროლაურის რაიონი	
MAXNET	30.59%
ახმეტის რაიონი	
MAXNET	7.54%
ბათუმი	
MAXNET	0.74%
ბაღდათის რაიონი	
MAXNET	2.55%
ბოლნისის რაიონი	
MAXNET	0.01%
გურჯაანის რაიონი	

ონის რაიონი	
MAXNET	74.65%
რუსთავი	
MAXNET	0.00%
სამტრედიის რაიონი	
MAXNET	0.04%
საჩხერის რაიონი	
MAXNET	33.50%
ტყიბულის რაიონი	
MAXNET	13.53%
ქობულეთის რაიონი	
MAXNET	4.17%
ქუთაისი	

MAXNET	1.22%
ვანის რაიონი	
MAXNET	0.95%
ზესტაფონის რაიონი	
MAXNET	0.66%
თელავის რაიონი	
MAXNET	9.05%
თერჯოლის რაიონი	
MAXNET	15.27%
ლაგოდეხის რაიონი	
MAXNET	0.62%
მარტვილის რაიონი	
MAXNET	0.04%

MAXNET	0.13%
ყვარლის რაიონი	
MAXNET	3.85%
შუახევის რაიონი	
MAXNET	0.20%
წყალტუბოს რაიონი	
MAXNET	8.23%
ჭიათურის რაიონი	
MAXNET	21.51%
ხელვაჩაურის რაიონი	
MAXNET	7.63%
ხონის რაიონი	
MAXNET	0.16%

ახალგორის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	6.58%
ახმეტის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	0.02%
გორის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	8.98%

კასპის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	2.14%
ქარელის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	13.05%
ხაშურის რაიონი	
თრიალეთი-ნეტი	1.04%

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიიჩნევს, რომ შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ისა და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენა, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს „სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმა, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 15%-ის ფიზიკურ პირ ნინო თოთაძის და შპს „სქაიტელის“ წილის 50%-ის ფიზიკურ პირ ლევან გაბუნიას მიერ შეძენა, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გავლენას არ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქციები შეიძლება მიჩნეულ იქნან თავსებადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან. შესაბამისად, არ არსებობს ამ ტრანზაქციებზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეთ თანხმობა შპს „სქაიტელს“, შპს „თრიალეთი-ნეტს“ და შპს „MAXNET“-ს, შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ისა და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენაზე, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს „სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 15%-ის ფიზიკურ პირ ნინო თოთაძის და შპს „სქაიტელის“ წილის 50%-ის ფიზიკურ პირ ლევან გაბუნიას მიერ შეძენაზე.

2. განემარტოთ შპს „სქაიტელს“, შპს „თრიალეთი-ნეტს“ და შპს „MAXNET“-ს, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „სქაიტელის“ მიერ შპს „თრიალეთი-ნეტის“ წილის 100%-ის და შპს „MAXNET“-ის წილის 100%-ის შეძენის, შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, შპს „სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმის, ასევე შპს „სქაიტელის“ წილის 15%-ის ფიზიკურ პირ ნინო თოთაძის და წილის 50%-ის ფიზიკურ პირ

ლევან გაბუნიას მიერ შეძენის შემთხვევაში, შპს „სქაიტელი“, შპს „თრიალეთი-ნეტი“ და შპს „MAXNET“ ვალდებულნი არიან აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობონ შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

3. შპს „სქაიტელის“ და შპს „თრიალეთი-ნეტის“, ასევე შპს „სქაიტელის“ და შპს „MAXNET“-ის შერწყმის შემთხვევაში, შპს „სქაიტელმა“ შპს „თრიალეთი-ნეტმა“ და შპს „MAXNET“-მა უზრუნველყონ “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა;

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სქაიტელისათვის“, შპს „თრიალეთი-ნეტისათვის“ და შპს „MAXNET“-ისათვის ჩაბარების დღიდან;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), შპს „სქაიტელისათვის“, შპს „თრიალეთი-ნეტისათვის“ და შპს „MAXNET“-ისათვის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. იმედაძე).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი